პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИН. ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 მაისი შაბათი 1970 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 119 (14723)

## დეპუტატობის კანდიდატი ნოდარ ჯულაყიძე



ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მოწინავე მნგრეველი ნოდარ ჯულაყიძე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულია წყალტუბოს საარჩევნო ოლქში.

წერილი ნ. ჯულაყიძის შესახებ იხილეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე.

ფოტო ბ. სახელაშვილისა.

## ფეიქრთა ინიციატივას ფართო მხარდაჭერა!

ახლოვდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი. ამ დიდი იუბილესათვის გაცხოველებით ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის შრომელები. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ახალი ენერგიით გააგრძელეს დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება.

საბჭოთა საქართველოს საიუბილეო შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა პირველი ხუთწლედის პირმშო, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“. ფეიქრებმა, საამქროებში გულდასმით შეისწავლეს რეზერვები, ყველაფერი გათვალისწინეს, იუბილეს აღსანიშნავად გადიდებული ვალდებულებები აიღეს და რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს მიმართეს მოწოდებით მხარი დაუჭირონ, მათს თაოსნობას, ფართოდ გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავად.

თბილისელ მემაუდეთა ამ პატრიოტული მოწოდების გამოქვეყნების მეორე დღიდანვე ფაბრიკა-ქარხნებიდან, მშენებლობებიდან რედაქციაში მოდის უამრავი წერილები, რომლებიც ნათლად მეტყველებენ, რომ ფეიქრებს მხურვალედ უჭერენ მხარს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები და კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, მე-7 სამკერვალო ფაბრიკის საგამომჭრელო საამქროს და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივების ინიციატივა, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს შეჯიბრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რჩევა მისცა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველად ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციებს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ოლკავშირთა ცენტრალურ კომიტეტს ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის შეჯიბრების გასაფართოებლად.

ახლა მთავარია გულდასმით გადავხედოთ საწარმოებში არსებულ რეზერვებს, კონკრეტული ვალდებულებებით ვუპასუხოთ ფეიქართა, მკერავთა და ტანსაცმლის პატრიოტულ ინიციატივას და წარმატებით ვიბრძოლოთ მისი განადიდებისათვის.

რესპუბლიკის მთელმა რიგმა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა უკვე იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი. ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხნის ვალდებულებებში წაწერილია, რომ იუბილემდე დარჩენილ დროში მეავტურეები მშენებლებს გეგმის გადამეტებით მიაწვდიან 4,5 მილიონ ცალ აგურს.

ფორელმა ფეიქრებმა, რომლებმაც თავი დაადწიეს ჩამორჩენას და წარმატებით დაიწყეს ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი თბილისელ მემაუდეებს და ვადაწყვეტის მიმდინარე წლის დავლება ვადამდე შეასრულონ, გეგმის გადამეტებით მოახდინონ ორი მილიონ 100 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია; პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვით მკვეთრად შეამცირონ დანახარჯები ყოველ ერთ მანეთ სახალხო პროდუქციაზე და მიიღონ 300 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

შეჯიბრებაში ჩაებნენ მშენებლებიც. ტრესტ „ხაქარხტმშენის“ კოლექტივმა თბილისელ მემაუდეთა მიმართვის პასუხად გადაწყვიტა ვადაზე ადრე დაამთავროს და საიუბილეოდ გადასცეს გეგმით გათვალისწინებული მთელი საწარმოო სიმძლავრენი, გეგმასთან შედარებით სამრეწველო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება შეამციროს 0,1 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება აამაღლოს 0,5 პროცენტით; ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულოს პირველი დეკემბრისათვის, მიმდინარე წლისა — 25 დეკემბრისათვის, ხოლო 1971 წლის იანვარ-თებერვლის დავალება — 22 თებერვლისათვის.

მემაუდეთა ეს პატრიოტული ინიციატივა ფართოდ შლის ფრთებს. როგორც ვხედავთ, ფეიქრებს მხარს უჭერენ არა მარტო თანამოსაქმენი, არამედ მათ თაოსნობას იწონებენ სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე და გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს მუშათა კლასთან ერთად საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის ემზადება სოფლის მშრომელთა მრავალათასიანი არმია. ეწყობიან რა გასულ წელს მოპოვებულ წარმატებებს, კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მიზნად ისახავენ წელს მკვეთრად გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადონ საბჭოთა საქართველოს დიდ იუბილეს.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჭეშმარიტად დიდი და რთული ამოცანებია გადასაწყვეტი. მაგრამ საქართველოს სახალხო მეურნეობის მშრომელები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ეს ამოცანები წარმატებით განხორციელდება. დარწმუნებული არიან იმითაც, რომ აქვთ უდიდესი გამოცდილება, უნარი დაძლიონ სიძნელენი, გადაჭრან რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ურთულესი პრობლემები. მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში უდიდესი ძალით იჩენს თავს. სხვადასხვანაირია შინაარსით ის ვალდებულებები, რომლებსაც ფაბრიკა-ქარხნების, შახტების, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები კისრულობენ. მაგრამ მათ ყველას აახლოებს, ერთიანებს საერთო მიზანი — გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ დანახარჯები, არსებულ საწარმოო ფართობებზე გამოუშვან რაც შეიძლება მეტი პროდუქცია, მიაღწიონ რენტაბელურ მუშაობას.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ სოციალისტური შეჯიბრების წარმართება მტკიცედ უზრუნველყოფილია იქ, სადაც არის საჯაროობა, სადაც მოწყობილია ვალდებულებათა შესრულების რეგულარული შემოწმება. და მისი შედეგების განხილვა მუშათა კრებებზე, საწარმოო თათბირებზე. უფრო ცხოველი ხასიათი უნდა მიეცეს შეჯიბრებას მონათესავე საწარმოთა შორის.

პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია უნარიანად ჩაუდგნენ სათავეში მასების მზარდ შრომითს აქტივობას, გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისადმი. **სპეირა მზრუნველობით შევისწავლოთ, განვაზოგადოთ და დანერგოთ ყოველივე ახალი, პროგრესული, რაც ეხმიბრების ფსველოლბაში იბადება, ყოველ სამუშაო ადგილზე შევქმნათ მაღალნაყოფიერი შრომის პირობები. რათა თვითეულმა მუშამ წარმატებით გაანაღდოს როგორც საგეგმო დავალებანი, ისე ნაკისრი ვალდებულებანი.**

**უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად.**

## კომკავშირის დიდი ფორუმის წინ

### პრეს-კონფერენცია სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალურ კომიტეტში

**მოსკოვში,** კრემლის ყრილობათა სასახლეში 26 მაისს მუშაობას დაიწყებს სრულიად საკავშირო ალკა მე-16 ყრილობა. საბჭოთა ახალგაზრდობის, მთელი ხალხის ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა პრეს-კონფერენცია, რომელიც 20 მაისს გაიმართა სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალურ კომიტეტში.

საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტების წინაშე გამოვიდა სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პასტუხოვი.

პრეს-კონფერენციაზე თქვა, რომ კომკავშირის მე-16 ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს 4.695 დელეგატი — თითქმის ათასით მეტი, ვიდრე მე-15 ყრილობაში მონაწილეობდა. ყრილობის საპატიო სტუმრები იქნებიან პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები.

ყრილობაზე მოწვეული არიან 90 ქვეყნის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ოცზეოვე დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლები.

ხუთი დღის მანძილზე ყრილობის მონაწილენი განიხილავენ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას განვლილ ოთხ წელიწადში, დასახავენ უახლოესი დროის მუშაობის პერსპექტივებს.

ყრილობაზე პირველად იმუშავებენ სექციები. დელეგატები განიხილავენ კომკავშირის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს, როგორიც არის მისი მონაწილეობა სახალხო მეურნეობაში, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში და სხვ.

## ვიზიტი დამთავრდა

**სოხუმი,** 22 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.). დამთავრდა ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურის (დოქტორ **გ. გლაისნერის** ვიზიტი საქართველოს სს რესპუბლიკაში. იგი ექვს დღეს იყო სტუმრად რესპუბლიკაში საქართველოს სსრ მთავრობის მოწვეთით.

22 მაისს **გ. გლაისნერი** ოჯახითურთ, ქალაქ ლინცის ბურგომისტრი **ტ. გრილი** მეუღლითურთ მოსკოვში გაემგზავრნენ.

აეროდრომზე ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაური და მისი თანამგზავრები გაეცალნენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. გ. გილაშვილმა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებებისა და ტექნიკის საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. შ. მაქელაძემ,** საქართველოს დეპეშათა საგენტოს — საქდესის დირექტორმა **ვ. ი. ჭიაურელმა,** აფხაზეთის ასსრ საბჭოთა საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ **ლ. კ. ნაზაძემ,** საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა **ი. შ. ტაბაღუამ,** აფხაზეთის ასსრ აღგილობრივი მრეწველობის მინისტრმა **დ. ა. ხვარწკიამ.**

— ეტოვეთ თქვენს მშვენიერ ქვეყანას, — თქვა **გ.** გლაისნერმა, — და მინდა გამოვთქვა აღტაცება თქვენი მიღწევებით და გულწრფელ საქართველოს მშრომელებს შემდგომი აყვავება.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

## გავაღიდოთ ეთერთვნებისა და ეთერთვანი ზეთების წარმოება

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი ეთერზეთოვანი ხედლეულის წარმოებისა და ეთერთვანი ზეთების გამომუშავების გადიდების საკითხზე.

თათბირს დაესწრნენ იმ რაიონების პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, რომლებიც ეთერზეთოვან კულტურებს აწარმოებენ, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროთა ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები.

ინფორმაცია გააკეთა „საქეთერზეთის“ ტრესტის მმართველმა **ვ. ჭერქაძემ.**

კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **გ. კეჩხუაშვილი,** პარტიის მარნეულის, ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, ბაბაისა და ცხაკაიის რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები **დ. მაღალაშვილი, ვ. უნგიაძე, გ. ზაუტაშვილი, ა. ვარდოშვილი, ნ. ჩაგუნავა** და **რ. ბოფერია,** აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **ა. ღვინჯილია,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცადინო და ტექნიკური კულტურების სამმართველოს უფროსი **დ. რომელაშვილი,** რესპუბლიკის ყვების მრეწველობის მინისტრი **ვ. ვალიკოლია,** რესპუბლიკის ყვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე **ა. ბაქრაძე.** საქართველოს მეცნიერთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **გ. ყანჩაველი.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. გელდიაშვილი.**

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **შ. ჭანუყვაძემ.** (საქდესი).

□ □

## შჩეკინოელთა გამოცდილება — რესპუბლიკის საწარმოებს

22 მაისს რუსთავში, მეტალურგთა კულტურის სასახლეში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილი რესპუბლიკური სემინარ-თათბირი. სემინარ-თათბირი მიეძღვნა შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში შჩეკინოს ქიმიური კომბინატის პარტიული კომიტეტისა და კოლექტივის გამოცდილების შესწავლასა და გავრცელებას. სემინარ-თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების, სამრეწველო საწარმოებისა და ტრანსპორტის წარმომადგენლები.

სემინარ-თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. შ. ცხაკაიამ.

მოხსენებანი წაიკითხეს: საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა **ვ. ი. მელქაძემ** — „რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ჯგუფი და შჩეკინოს ექსპერიმენტის გამოყენების საკითხები“, თბილისის დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა **ნ. დ. ბერიძემ** — „შჩეკინოს ექსპერიმენტით თბილისის მეტროპოლიტენში მუშაობის შედეგები“, რუსთავის ქიმიური კომბინატის შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის განაწილების უფროსმა **დ. მ. ნიძორიძემ** — „შჩეკინოს ექსპერიმენტის დასანერგავად იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც რუსთავის ქიმიურ კომბინატში ხორციელდება“, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“. დირექტორმა **მ. პ. ბაბუშაშვილმა** — „ავამოქმედოთ შრომის ნაყოფიერების გადიდების ყველა რეზერვი“, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ლ. ს. ხარბედნიამ** — „შრომის ნაყოფიერების გადიდების მოწინავე მეთოდების გავრცელებისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“.

ადგილებზე გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციები გააკეთეს თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის დირექტორმა **ა. ო. ამბელიამ,** პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ლ. ნ. ნესტორენკოვამ,** ქუთაისის ლითონფონის ქარხნის მთავარმა ინჟინერმა **პ. ბ. მარგბმელაშვილმა.**

სემინარ-თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა **ნ. შ. ცხაკაიამ.**

სემინარ-თათბირზე მიიღეს რეკომენდაციები საქართველოს საწარმოებში შჩეკინოს ქიმიური კომბინატის გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების შესახებ.

სემინარ-თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეები **ე. ბ. ლუდუშაური** და **შ. ს. დუდაშვილი.**

სემინარ-თათბირის მონაწილენი იყვნენ მეტალურგიულ ქარხანაში, ქიმიურ კომბინატსა და ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში.

სემინარ-თათბირის ანგარიში გამოქვეყნდება. (საქდესი).

## გულითადი შეხვედრები

თითქოეული დღე გვაახლოებს ღირსშესანიშნავ მოვლენას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში — სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებს. და დღითიდღე იზრდება წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრების სიმძაფრე. მანქანათმშენებლები და მეტალურგები, მეშახტეები და ფეიქრები, ამბულატორიები და მეცტრუსეები, მევენახეები და მეცხოველეები — სულ სხვადასხვა სპეციალობისა და პროფესიის ადამიანები ამ დღისათვის ამზადებენ ახალ შრომითს საჩუქრებს. დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრებზე ისინი მხურვალედ იწონებენ და უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმას, სიამაყით ლაპარაკობენ მოპოვებულ წარმატებებზე, იმაზე, რომ არჩევნების დღეს ყველანი, როგორც ერთი, მისცემენ ხმას ომათ, ვინც თავდადებული შრომით, პარტიის საქმისადმი, ხალხის ინტერესებისადმი ერთგულებით, აქტიური საზოგადოებრივი მუშაობით მოიხვეჭა საყოველთაო პატივისცემა და ნდობა.

**თბილისი** პარტიისა და ხალხის საუკეთესო წარმომადგენლთა შორის, რომელთა სახელებიც შეტანილ იქნება მომავალი არჩევნების საარჩევნო ბიულეტენებში, არის გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ იმანიშ-ძე მუსხელიშვილი. თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა წინასაარჩევნო კრებებზე აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი ერთსულოვნად დასახელეს თავიანთ წარმომადგენლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოში.

გულითადი და მეგობრული იყო ნ. ი. მუსხელიშვილის შეხვედრა ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებთან. შეხვედრა გაიმართა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის კალინინის რაიკომის პირველი მდივანმა ს. რიგვავამ. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობით კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო ერთიანობისა და შეკავშირების ნიშნით.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველ მოადგილეს ბ. დვალიშვილს. მან ილაპარაკა ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილის ცხოვრებასა და დიდ მეცნიერულ მოღვაწეობაზე. აი უკვე 50 წელზე მეტია ეწევა იგი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას. მის შრომებს უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. მსოფლიოში სახელგანქმულ მეცნიერს დიდი წვლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. მის კალამს ეკუთვნის 80-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომლებმაც ფართო აღიარება მოიპოვეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს მისი დამსახურება საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. ნ. ი. მუსხელიშვილი არის ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად ნ. ი. მუსხელიშვილი ეწევა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას, არის სსრ კავშირის შვიდეგზე მოწვეული უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

შეხვედრაზე გამოვიდნენ პროფესორი ჭ. ვინისალაძე, ანაზეოზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი **გ.** სიმონიანი, ფაბრიკა „კომკავშირელის“ მუშა ჯ. სულიკოვი, დიასახლისი ც. ფრუიძე, ახალგაზრდა ამომრჩეველი თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ლ. პიტავა. მათ დიდი გულთბილობითა და ღრმა პატივისცემით ილაპარაკეს თავიანთ კანდიდატზე, გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერზე და გამოთქვეს რწმენა, რომ იგი, როგორც მუდამ, კვლავ დაიცავს ხალხის ინტერესებს, უხელმძღვანელებს ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარებას.

ნ. ი. მუსხელიშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს და აღუთქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა გაამართლოს მათი ნდობა.

**გეგეჭკორი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი გეგეჭკორის საარჩევნო ოლქში დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეჩაიე მაპაჯალა ამლიტონის ასულ ბასმანოვა შეხვდა თავის ამომრჩეველებს.

შეხვედრა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ჯ. ბაბაკა, ბბაშის რაიონის სოფელ ნოღოხაშის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ე. არჩაია, დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა დ. ღლეკვიშვილი, რომლებმაც დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათეს, როგორც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ახალგაზრდა თაობის ღირსეული წარმომადგენელი. მათ მოუწოდეს ამომრჩეველებს არჩევნების დღეს ხმა მისცენ მ. ნაჭყებიას.

დეპუტატობის კანდიდატმა მ. ნაჭყებიამ მხურვალე მადლობა უძღვნა ამომრჩეველებს ხალხისადმი გამოჩენილი ნდობისათვის.

**ᲒᲐᲚᲘ** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გალის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ ამ ოლქის დეპუტატობის კანდიდატს გალის რაიონის სოფელ პირველი გალის საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა ბრიგადირს მარი მიხეილის ასულ კაბაკაძეს.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ **გ. ცაცუამ.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — რაიონული გაზეთის „ლენინელის“ ლიტერატურულმა თანამშრომელმა **მ. გაბელიამ** დამსწრეთ უამბო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების, მისი სახელოვანი შრომითი საქმეების შესახებ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სოფელ სიღის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე **ზ. გერზედავა,** „საქსოფლტექნიკის“ გალის განყოფილების მმართველი **ნ. თოდუა,** დეპუტატობის კანდიდატის თანასოფლელი საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის ნეკრი **ნ. მალაზონია,** გალის ჩაის ფაბრიკის მთავარი აგრონომი **ს. შონია.** მათ განაცხადეს, რომ აარჩევნების დღეს დიდი სიხარულით მისცემენ ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, ხმას მისცემენ სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების შემდგომ გაუმჯობესებას.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი **მ. კაკავა.** მან გულითადი მადლობა უძღვნა ამომრჩეველებს დიდი ნდობისათვის, აღნიშნა, რომ ეცდება ყოველი ღონე იხმაროს, რათა მათი მაღალი ნდობის ღირსი იყოს.

**ᲡᲐᲥᲗᲠᲔᲚᲘᲐ** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქის მშრომელთა ასობით წარმომადგენელი შეხვდა სამრეწველიის სალოკომოტივო დეპოს მოწინავე მეზანქანე ვასილის-ძე სტურუას.

**ᲥᲔᲓᲐ** ქედის რაიონულ კულტურის სახლში გაიმართა ამომრჩეველთა ხალხმრავალი შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ქედის საარჩევნო ოლქში ამბერ ამდულას ასულ დიასამიძესთან.

წინასაარჩევნო კრება გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. ნაკაშიძემ.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა **ა. ბეჟანიძემ** ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის — სოფელ დოლოგანის მოწინავე კოლმეურნის შრომითს გზაზე. საოლქო დამთავრების შემდეგ იგი შეხვდა მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში. ჯერ მუშაობდა მწველად, კოლმეურნეობის ფერმაში. შემდეგ მეჩაიედ. უკანასკნელი წლების მანძილზე ქ. ა. დიასამიძემ სახელი გაითქვა როგორც თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატმა. თანასოფლელები მას იცნობენ როგორც აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკს. იგი ქედის რაიონული საბჭოს დეპუტატია.

წინასაარჩევნო კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა განაცხადეს, რომ სიხარულით მისცემენ ხმას ხალხის ერთგულ შვილს, თავმდაბალ მშრომელს ქ. ა. დიასამიძეს.

დასასრულ გამოვიდა დეპუტატობის კანდიდატი ქ. ა. დიასამიძე. მან მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს მაღალი ნდობისათვის.

## სასარგებლო კონტაქტები

**თბილისში** ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერთა და სპეციალისტთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის საბჭოს თავმჯდომარე ბ. ეუნდაანბნორი.

22 მაისს დილით მონღოლი მეგობრები ეწვივნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის. კომიტეტის თავმჯდომარის **ბ. ლომიძემ** მათ გააცნო ორგანიზაციის სტრუქტურა, მისი საქმიანობა, უპასუხა სტუმრებს შეკითხვებზე.

იმავე დღეს მონღოლი მეცნიერები და სპეციალისტები მიიღეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან **ვ. სირაძესთან** მეგობრული საუბარი ეხებოდა მეცნიერული კვლევის დაგეგმვის, მისი შედეგების წარმოებაში დანერგვის, მეცნიერებისა და მრეწველობის კავშირის საკითხებს.

ვ. სირაძემ გამოთქვა რწმენა, რომ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა კონტაქტები დიდად სასარგებლოა, და დაწვრილებით გააცნო მონღოლ ამხანაგებს, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკაში მეცნიერული კვლევა, როგორია მისი პრაქტიკული სარგებლობა.

დელეგაციის ხელმძღვანელმა ც. ბუნდანგნორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო განვითარებული ქვეყანაა და მის გამოცდილებას ისინი წარმატებით გამოიყენებენ სამშობლოში.

მონღოლი მეცნიერები და სპეციალისტები ესტუმრნენ აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **რ. დვალმა** კოლეგებს უამბო, თუ როგორია სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ორგანიზაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, შეეხო სახალხო მეურნეობაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვის პრობლემებს.

**მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერები და სპეციალისტები თბილისში**

□

მადგენელთა კონტაქტები დიდად სასარგებლოა, და დაწვრილებით გააცნო მონღოლ ამხანაგებს, თუ როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკაში მეცნიერული კვლევა, როგორია მისი პრაქტიკული სარგებლობა.

დელეგაციის ხელმძღვანელმა ც. ბუნდანგნორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო განვითარებული ქვეყანაა და მის გამოცდილებას ისინი წარმატებით გამოიყენებენ სამშობლოში.

მონღოლი მეცნიერები და სპეციალისტები ესტუმრნენ აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **რ. დვალმა** კოლეგებს უამბო, თუ როგორია სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა ორგანიზაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, შეეხო სახალხო მეურნეობაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვის პრობლემებს.

**მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერები და სპეციალისტები თბილისში**

□

მონღოლი სტუმრები თბილისში სამ დღეს დარჩებიან. ისინი ეწვევიან ჩვენი დედაქალაქის სამეცნიერო ინსტიტუტებსა და საწარმოებს, გაეცნობიან მის ღირსშესანიშნავ ადგილებსა და კულტურულ ცენტრებს.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში დელეგაციის მეთაურმა ც. ბუნდანგნორმა განაცხადა, რომ საქართველოში ძალიან მაღალია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე. დელეგაცია ინტერესით ეცნობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სამეცნიერო დაწესებულებათა ორგანიზაციულ სტრუქტურას.

(საქდესი)

ДЕПУТАТОБის კანდიდატი
ნოდარ ჯულაყიძე

# ცხოვრების გზაზე

ნოდარ ჯულაყიძემ დაამთავრა თუ არა საშუალო სკოლა, მშობლებს განუცხადა, ტყიბულის შახტებში მივდივარ სამუშაოდო.

მამას — ბენიამინ ჯულაყიძეს დიდად ეხიბლინა ვაჟიშვილის არჩევანი. ქმაყოფილების ნიშნად წელში ამაყად გასწორდა, ულვაშებში ჩაიცინა...

ორჯონიკიძის სახელობის შახტში ნოდარს გულთბილად შეხვდნენ.

— მაშ გადაწყვიტე მეშახტე გახდე?... რა სპეციალობა უფრო გაინტერესებს? — შეეკითხა შახტის უფროსი.

— რა თქმა უნდა, მნგრეველობა? — იყო პასუხი. ასე დაიდგა დიდი ცხოვრების გზას კიდევ ერთი რიგითი საბჭოთა ახალგაზრდა.

შახტში მუშაობა ოლი როდი გამოდგა. თავდაპირველად ისე გაუჭირდა ახალგაზრდა მეშახტეს, რომ კინაღამ სოფლისაკენ მოქუსლა. სიძნელეთა დაძლევაში მას ძველი მეშახტეები დეიხმარნენ. მასწავლებლის როლი გამოიცდილმა მნგრეველ-მებოგემ სერგო როინიშვილმა იკისრა. სერგო შესანიშნავი ხასიათის ადამიანი და დიდად გამოცდილი მეშახტე იყო. იგი გატაცებით გადასცემდა ახალგაზრდას მუშობის თავის გამოცდილებას, დიდხანს იმუშავეს ერთად მასწავლებელმა და მოსწავლემ. ნოდარი კარგად დაეუფლა სამთო საქმეს. იგი უნივერსალი მეშახტე გახდა. ახლა მას მარტო ქვანახშირის მონგრევა და სამთო გამონამუშევრის გადამაგრება როდი შეუძლია, მნგრეველი მებოგე, გამყვანი ზეინკალი — აი მისი პროფესიები.

ნოდარ ჯულაყიძემ შრომისმოყვარე და კეთილსინდისერი მუშის სახელი დაიმკვიდრა. შახტიდან კარგი დახასიათებით წავიდა საბჭოთა არმიის რიგებში და თავიც გამოიჩინა. აქ მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიაში. დემობილიზაციის შემდეგ ცოლად ტყიბულს დაბრუნდა. 1961 წლიდან განუწყვეტლივ სტალინის სახელობის შახტში მუშაობს და სამაგალითო, თითით საჩვენებელ მუშად ითვლება.

რიგითმა მეშახტემ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა ჭუთაისის სამთო ტექნიკუმი და სამთო ტექნიკოსის დიპლომი მიიღო. სწავლის ხუთკილო კვლავ არ ცხრება. ახლა ნოდარი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე შესასვლელად ემზადება. იგი ინჟინრობაზე ოცნებობს.

ნ. ჯულაყიძეს მაღალი შრომითი მაჩვენებლები აქვს. ხუთწლედის განვლილ ოთხ წელსა და ოთხ თვეში მან დიდი გადაკარბებით შეასრულა პირადი ხუთწლედი და ახლა 1971 წლის ივნისის ანგარიშში მუშაობს.

ნოვატორი მეშახტე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მომჭირნეობასა და სათბობის ხარისხს, ეკონომიურად, ეაირათიანად ხარჯავს ხის სამაგრ მასალას და ფეთქებად ნივთიერებებს. მაღნის პირველად გამდიდრებას იგი სანგრევში ახდენს. ქვანახშირისაგან გულმოდგინედ არჩევს ფუჭ ქანებს, არასოდეს არ გზავნის მიწის ზედაპირზე ქვასა და ლიფტბიოლიტებს.

საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოირჩევა ახალგაზრდა. საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა კვლავ საუბნო პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. იგი სტალინის სახელობის შახტის პარტიული კომიტეტისა და პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პლენუმის წევრია.

ტყიბულელ მეშახტეებში მართლაც რომ თითით საჩვენებელია ნოდარ ჯულაყიძე. ამიტომ იყო, რომ მეშახტეებმა იგი ერთხმულად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ალ. ხუციშვილი.

ტყიბულ-ჭიათურის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის საშახტო კომიტეტის თავმჯდომარე.

*მზადება არჩევნებისათვის*

# აგიტპუნქტებსა და კლუბებში

ვიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში არჩევნებისათვის მზადების სამსახურში 28 აგიტპუნქტი და 11 ამომრჩეველთა კლუბი. იქ მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურის გამოფენები, შეძღლებულია აგიტატორთა მორიგეობა, ეწყობა საუბრები და მოხსენებები საბჭოთა კონსტიტუციის, საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობაზე, ამომრჩეველთა უფლება-მოვალეობებზე.

არჩევნებთან დაკავშირებით საწარმო-დაწესებულებებში დამატებით გამოიყო 350 აგიტატორი.

დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციას ლენინის სახელობის მაღაროში ეწევიან აგიტატორები გ. ქამუშაძე, მ. ხვედელიძე, დ. ლაბუჩარიძე, გ. ღოღელიანი, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში — აგიტატორები ბ. მიროტაძე, კ. ცაბოლოვა, ი. სვანიძე, ჯ. ფხალაძე და სხვები.

ახალი ოთხვილის მაღაროს აგიტატორებმა დ. გელბახიანმა, მ. გამყრელიძემ, მ. ქველაძემ, ჯ. გულიაშვილმა, ა. ნასარიძემ, ი. ბირბიჩაძემ შინაარსიანი საუბრები ჩაატარეს დეპუტატობის კანდიდატთა საკმაოენობაზე.

მომხსენებელთა ჯგუფის წევრებმა ე. კაბანაძემ, ა. კუპატაძემ, დ. მეტოხიძემ, ს. მიქიაშვილმა წაიკითხეს მოხსენებები „საბჭოთა კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიული მსოფლიოში“, „საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობანი“.

• • •

სურათზე: აგიტატორი ი. სვანიძე ცვლის მუშებს ესაუბრება დეპუტატობის კანდიდატთა საკმაოენობაზე.

ფოტო ბ. ხარატიშვილისა.

# საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და მოეწყობაში საქართველოს პროფკავშირულ-ორგანიზაციათა მონაწილეობის შესახებ

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რესპუბლიკის მშრომელთა აქტიურ მონაწილეობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და მოწყობაში, საოლქო პროფკავშირებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საქალაქო, რაიონულ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს წინადადება მისცა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და მოწყობაში, დარაზმონ მშრომელები თვითეული ოლქიჭისავის ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, წარმართონ მშრომელთა ღონისძიებანი სამრეწველო და სასოფლო-საშაურნეო წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის გასაადიდებლად, შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და თვითღირებულების შესამცირებლად.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში პროფკავშირთა კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ პროპაგანდისტული მუშაობა მშრომელებში, მოაწყონ მათთვის ლექციები და მოხსენებები საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობის შესახებ, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების, სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის შესახებ.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას ფართოდ გაშალონ მშრომელებში აგიტაცია იმისათვის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად აირჩიონ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატები. პროფკავშირულ კომიტეტებს წინადადება აძლევთ ამომრჩეველთა შორის საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მისაწყობად ფართოდ გამოიყენონ პროფკავშირთა კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, წითელი კუთხეები, ბიბლიოთეკები, მრავალტრიბუნიანი გაზეთები, კინო, რადიო, თვალსაჩინო აგიტაციის ყველა საშუალება. საარჩევნო კამპანიის პერიოდში უნდა გააქტიურდეს აგიტბრიგადების, პროფკავშირთა მსაჯავრულა თვითმოქმედების კოლექტივების მუშაობა, მოეწყოს მათი რეგულარული კონცერტები აგიტპუნქტებში, საარჩევნო უბნებში.

საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საერთო საცხოვრებლებში, კულტურულ დაწესებულებებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებისადმი მიძღვნილი საუბრები, ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები, ამომრჩეველთა საღამოები. (საქდესი).

# გაანახლებული მიწა

## კოლხიდის დაშრობას — მეტი ყურადღება

ადრე იღვიძებენ კოლხიდის ველ-მინდვრები. ათასობით ჰექტარზე გაჭიმული მიდამოებიდან ბგერა-ნობამდე გაისმის ტრაქტორების, ბულდოზერების, ექსკავატორების გუგუნი. საუკუნეობით ყამირს ხობელი მშრომელები უტევენ. აქ ტექნიკით აღჭურვილი მექანიზატორები ძნელ პირობებში ფართო მასშტაბით აწარმოებენ ჭაობიანი და გამოუყენებელი მიწების ფოვისებას და სიუხვის სამსახურში ჩაყენებას.

კოლხეთშენების პირველი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ (უფროსი ა. ასათიანი) უკანასკნელ წლებში მარტო ხობის რაიონში ათასის 2 ათასამდე ჰექტარი ყამირი მიწა, ზუგდიდის რაიონში—5 ათასი, ცხაკაიას რაიონში—8 ათასამდე ჰექტარი.

მარტო დაჭაობებული ადგილების ათვისება როდია მთავარი. ამასთან საჭიროა გაკეთდეს წყალსადენი არხები, ხიდ-ბოგირები და სხვ. ამ მიზნით მდინარეების ტეხურის, ნოგელას, ცივას დაჭაობებული ადგილების ზოლში 150 კილომეტრ მანძილზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს არხის გაყვანა. ათვისებული ნიადაგები ამით ზედმეტი წყლისაგან დაზღვეული იქნება.

განთიადი. ხობის რაიონის რუკაზე ოთხი წლის წინათ გაჩნდა ასეთი სახელწოდება. საუკუნეობით გამოუყენებელ ადგილებში აგუგუნდნენ ტრაქტორები და სოფლის მეურნეობის სხვა მძლავრი ტექნიკა. აქ ვაკეაცურად შეერკინენ ყამირ მიწებს, გაუკაფეს ტყეებს და უკვე 1.350 ჰექტარი აითვისეს.

მეურნეობაში უკვე გაჩნდა ჩაის პლანტაციები, მნახველთა ყურადღებას იპყრობს კარგად მოვლილი დაფნა, ხეხილი, ევკალიპტი და სხვა მრავალწლიანი ნარგავები. ხუთწლედის დამამთავრებელი წელი განთიადელებისათვის უდამ სამახსოვრო იქნება. ახალათვისებულ მიწაზე დარგული დაფნიდან უკვე მიიღეს ნედლეულის პირველი მოსავალი და ამით 15 ათასი მანეთი შემოსავალი შეემატა მეურნეობას.

— ახალათვისებული მიწიდან 200 ჰექტარი გამოყენებულია სიმინდისათვის და შესაძლებლობა გვაქვს შემოდგომით სულ მცირე 6 ათასი ცენტნერი სიმინდის პირველი მოსავლით გაიხარონ განთიადელმა მშრომელებმა, — ამბობს თორსის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „განთიადის“ დირექტორი ალ. ლაბარია.

განთიადის მშრომელები წელს პირველად მოიმკიან დაფნის, სიმინდის, ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს. აქ ბათვალიწინებული აქვთ წელს ადგილ-ადგილ მოსავლის დასაბინავებელი საწყობები. განთიადელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეურნეობა რენტაბელურია. შარშან 14.988 მანეთი მოგება მიიღეს.

კოლხიდის დაშრობილ მიწებზე შეიქმნა აგრეთვე მსხვილი საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთი“, რომელსაც მოაყავს ჩაი, ციტრუსები, ბამბუკი, დაფნა და სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები. მეურნეობაში ბევრი შრომატევადი სამუშაო შესრულდა, უკვე ათვისებულია 1.415 ჰექტარი ყამირი მიწა.

მეურნეობის ხელმძღვანელობას (დირექტორი ქ. გერგია), ვამლის გაშენებისას მწკრივთა შორის ატამიც დაურგავთ. მცენარეთა დარგვიდან უკვე მეოთხე წელია და ზეზეს ეარაულობენ მიიღონ სულ მცირე 60 ტონა ატამი. ეს ყამირი მიწის ათვისების შემდეგ პირველი მოსავალი იქნება. წელს მოაწყვეს აგრეთვე დაფნისა და ტუნგის საკუთარი სანერგე მეურნეობა. ამით ისინი ყოველ წელს უზრუნველყოფილი იქნებიან 100.000 ძირამდე ნერგით და ამასთან ნერგების ნაწილის რეალიზაციის შესაძლებლობა იქნებათ. ეს მეურნეობას დაახლოებით 25 ათასი მანეთის ეკონომიას მისცემს.

მეცნიერ მუშაკთა რჩევით ათვისებულ ნიადაგზე ახალგაზენებულ ჩაისა და დაფნის პლანტაციებში მწკრივთა შორის შარშან პირველად დათესეს სოია და დამატებით 11 ტონა სოიის მარცვალი მიიღეს. 80 ტონა სოიის მარცვალი — ასეთია კოლხიდელთა პირობა. ესეც ხომ გამოუყენებელი რეზერვები იყო.

დაჭაობებული მიწების ათვისებულად ბევრ სამუშაოს ასრულებს სოფლტექნიკის ხობის რაიონული განყოფილება (მმართველი ქ. ლატარია). სად არ ნახავთ აქაურ ტრაქტორებს, ექსკავატორებს, ბულდოზერებს. ისინი ამოშრობილ მიწებს ხნავენ, გაპაყავთ სადრენაჟე არხები.

კოლხიდის დაჭაობებული მიწების დაშრობასა და ათვისებასთან ერთად გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს იქ მომუშავეთა საცხოვრებელი სახლების, კომუნალური და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სხვა ობიექტების ასაგებად.

საქართველოს სსრ სოფლის მშენებლობის სამინისტროს მიერ სპეციალურად შექმნილია მეხუთე ტრესტი, რომელიც მომსახურებას უწევს ხობის, აბაშის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ცხაკაიას რაიონებს და ადგილობრივ ასს რესურსებს ეყრდნობა. ამ ტრესტის მმართველმა მ. ჭანტურიამ. — ტრესტი შარშან იანვარში შეიქმნა და კოლხიდის ზონაში უკვე 6 მილიონ მანეთამდე სამუშაო შეასრულა. მშენებლებმა 2.800 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი, ჩაის ფაბრიკები, საბავშვო ბაღი და სხვა ნაგებობანი ააშენეს.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველ კვარტალში შესრულდა 1.431 ათასი მანეთის სამუშაო. ეს გეგმის 103 პროცენტია. წელს მეთორმეტე მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ (უფროსი ვ. წულეისკირი), 297 ათასი მანეთის ნაცვლად 363.000 მანეთის სამუშაოები შეასრულა. ასევე ითქმის ზუგდიდის 26-ე მექანიზებულ კოლონაზე (უფროსი მ. ჯინჯოლავა).

შარშან ხობის მეცხრამეტე მოძრავი მექანიზებული კოლონა გამართულად ვერ მუშაობდა. ამიტომ ხელმძღვანელობა შეიცვალა. ახლა ამ კოლონას სათავეში ჩაუდგა მ. კინწურაშვილი, და უკვე აქვთ პირველი წარმატება. ხობში ააგეს სამი 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, იარაღ-მანქანების შესანახი ფარდულები, აბანოები და სხვ. კოლხიდის მეურნეობაში მიმდინარეობს კლუბის, ოთხბინიანი სახლებისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობა.

ხობის მე-19 სპეციალიზებულ მოძრავ მექანიზებულ კოლონას წელს პირველ კვარტალში უნდა შეესრულებინა 206 ათასი მანეთის სამუშაო. ეს დავალება გაანაღდეს.

კოლხიდის ახალათვისებულ ადგილებში საცხოვრებელ და სხვა ნაგებობათა აშენებაზე ყოველ წელს ნაყოფიერად მუშაობს ხობის საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭო. მშენებლებმა ააგეს სხვადასხვა შენობები, გამართეს ხიდები, მოაწყეს გზები, ყამირი მიწების ათვისებაში მომუშავეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით ბევრგან ნახავთ მათ მიერ ლამაზად აგებულ საცხოვრებელ და სხვა შენობებს.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ხობის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭომ (თავმჯდომარე ვ. ბერაია) უკვე 500 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა. ეს დიდად ჭარბობს ნახევარი წლის გეგმას.

კოლხიდის დაჭაობებული და ყამირი ნიადაგების ათვისება საყოველთაო-სახალხო მშენებლობად არის გამოცხადებული. ამ საქმეს სათავეში უდგანან ხობის რაიონის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

არის საკითხებიც, რომელთა მოგვარება აუცილებელია. ზოგან ამოძირკვის დროს ამოღებული ხეების ფესვები და ბუჩქები ნიადაგზე ყრია. კოლხიდმშენის ხობის პირველი სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსმა ა. ასათიანმა გვითხრა, რა ვქნათ, ეს ჩვენ არ გვეხებაო. მეურნეობის ხელმძღვანელებმა აღნიშნული სამუშაო რომ შეასრულონ, საჭიროა გარკვეული მუშახელი, თანხა, ეს კი მათ ხარჯთაღრიცხვით არა აქვთ გათვალისწინებული.

ბეტონტრანსპორტის არასაკმარი რაოდენობის გამო ნიადაგის დაშრობისა და ათვისების ტემპს ჩამორჩება. შიდასამეურნეო გზების გაყვანა. ეს სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს.

ბევრგან აკლიათ მანქანების სათადარიგო ნაწილები, საპლანტაჟო გუთნები. შარშან 5.200 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალიდან მიიღეს მხოლოდ 2.800, საკმაო რაოდენობით ვერ მიიღეს აგური, სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა წელსაც გრძელდება. პირველ კვარტალში ვერ მიიღეს 800 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ კოლხიდის დაშრობი და ათვისება გადაიქცეს ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოების მსხვილ ბაზად. ამით ჩვენ 220.000 ჰექტარ საუკუნეობით გამოუყენებელ მიწას ხალხის სამსახურში ჩავაყენებთ.

შ. ბოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



სურათებზე: (ზემოთ) მექანიკოსტრორე ვ. ჯიღლიხავა, (ქვემოთ) წყალგამტარი არხის გაყვანა კოლხიდაში.

ფოტო ბ. თათარიშვილისა.

# ჩაის პლანტაციებში

● წყალტუბო. რაიონის მეჩაიეებს გადაწყვეტილი აქვთ წელს მოკრეფონ 5.700 ტონა ნედლეული ნაცვლად 5.350 ტონისა. თავიდანვე კარგი სტარტი აიღეს. დღემი საშუალოდ ას ტონაზე მეტ ხარისხოვან ფოთოლს კრეფენ.

მოლაშქრეთა პირველ რიგებშია სოფელ გუმბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც უკვე 140 ტონა პირველი ხარისხის ნედლეული მოკრიფა. სოფელ მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში მარტო ერთ დღეს 6 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული მოკრიფეს. მეჩაიეები გ. კინწურაშვილი, ნ. მასათაძე, ნ. ჯუტიკაძე და ა. ულუფაძე დღეში 80-100 კილოგრამ ჩაის კრეფენ ნაცვლად 25 კილოგრამისა. (საკ. კორ.).

● ჩხოროწყუ. კარგად შრომობენ ამ დღეებში რაიონის მეჩაიეები. უკვე მოკრეფილია და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 3.000 ტონა ფოთოლი. მაისიენინში უნდა მოიკრიფოს 4.935 ტონა. კრეფის ტემპს ყოველდღე აძლიერებენ ჭოლის, ნაფიჩხოვის, ახუთის, ჩხოროწყუს, ლეწურწყმის, ხაბუმის, კირცხის კოლმეურნეობები.

ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ ე. ცირამუამ ერთ დღეს მოკრიფა 115 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლ. ბორდულაძემ — 110 კილოგრამი. (საკ. კორ.).

*„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ*

# ხელმრუდენი

## „კომუნისტს“ უპასუხებს კარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი შ. კოხოძე

გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მაიაკოვსკის რაიონის სოფელ პირველ ობჩაში ყოველგვარი წესების დარღვევით დაიწყო წყალსადენის მშენებლობა. წერილთან დაკავშირებით პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველი მდივანი შ. კოხოძე რედაქციას ატყობინებს:

წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ვინაიდან ობჩის დამტკოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობას საშუალება არ ჰქონდა გაეღო წყალსადენის მშენებლობის ხარჯები, აღნიშნული სამუშაოები შესრულდა მოსახლეობისაგან აკრეფილი თანხებით.

პირველი ობჩის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. სირბილაძის ჩარევით მოსახლეობიდან გამოიყო პასუხისმგებელი პირები, რომლებმაც თვითეული კომლიდან აკრიფეს 160 მანეთი და წყალსადენის მშენებლობაზე ვინმე გ. ზურაბიანთან გაიფორმეს ხელშეკრულება.

წყალსადენის მშენებლობა 1967 წლის ივნისში დაიწყო და 1969 წლის პირველ ნახევარში დამთავრდა. 144 კომლმა მიიღო სასმელი წყალი.

წყალსადენის მშენებლობისათვის არ ყოფილა შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რის გამო მთელი რიგი სამუშაოები წესების დარღვევით შესრულდა. მაღე წყლის მიწოდება შეფერხდა პატარიძეების უბანში, რამაც უბნის მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

შემოწმების პერიოდში წყალსადენის მშენებლობაში დაშვებული დეფექტები ნაწილობრივ გამოსწორდა და მიღებულია საჭირო ზომები წყალსადენის წესრიგში მოყვანისათვის.

მაგრამ საერთოდ დადგენილია, რომ ობჩის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. სირბილაძე ირაფსწორად მოიქცა, როდესაც მოსახლეობისაგან ფული აკრიფა და ყოველგვარი ტექნიკური დოკუმენტაციის უქონლად დაიწყო წყალსადენის მშენებლობა, აგრეთვე ფულადი ანგარიშსწორების წესები დაარღვია ობჩის დამტკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. არშილავამ. მან საშუალება მისცა კერძო პირებს მოსახლეობისაგან აკრეფილი თანხის ნაწილი შეეტანათ კოლმეურნეობის ანგარიშზე და სახელმწიფო ფასებში ქარხნიდან მიელოთ მილების ნაწილი.

მოსახლეობისაგან აკრეფილი თანხების რომელმაც პირის მიერ მითვისების ფაქტები შემოწმებით არ დადასტურდა.

პარტიის მაიაკოვსკის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობა გაზეთი „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „ხელმრუდენი“ აღნიშნული ფაქტების შემოწმების შედეგად და ობჩის ობჩის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გ. სირბილაძეს მოსახლეობისაგან ფულის აკრეფისა და ტექნიკური დოკუმენტაციის უქონლად წყალსადენის მშენებლობის დაშვებისათვის გამოუცხადა საყვედური საინფორმაციო ბარათში შეტანით. პარტიული სასჯელი დაედოთ აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კ. პაპაშვილს, პარტორგანიზაციის მდივანს ნ. ფარსალიას და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ტ. ლაბვილავას. ფერმაში არსებული ნაკლოვანებანი ამჟამად გამოსწორებულია.

# ფაქტები დადასტურდა

მიმდინარე წლის მარტში რედაქციამ მიიღო ე. ლაზარიას წერილი, რომელშიც მხილებული იყო ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში არსებული დამახინჯებანი.

წერილი გადაეგზავნა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომს. ამ საკითხთან დაკავშირებით რაიკომის პირველი მდივანი დ. ჯიჯელავა რედაქციას ატყობინებს, რომ რაიკომმა შეისწავლა წერილში აღძრული საკითხები და ფერმაში შექმნილი მდგომარეობა განიხილა რაიკომის ბიურომ.

კოლმეურნეობის პირუტყვის თვითნებური გაცვლისა და რეალიზაციისათვის, ნამატის მიღებაში ფიქტიური დოკუმენტების შედგენისა და ფერმაში დიდი ოდენობით ქირქილ პირუტყვის ყოლისათვის ფერმის გამგე ბ. ბოგუა მოიხსნა თანამდებობიდან, გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით და მასალები გადაეგზავნა პროკურატურას. კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსს ო. ჩიქოვანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. პარტიული სასჯელი დაედოთ აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს პ. პაპაშვილს, პარტორგანიზაციის მდივანს ნ. ფარსალიას და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს ტ. ლაბვილავას. ფერმაში არსებული ნაკლოვანებანი ამჟამად გამოსწორებულია.

*მკითხველის სიგნალი კომენტარით*

# უმოქმედო ტელევიზორები...

როგორც იქნა ტელეხატრანსლაციო სადგური ნუკრიანში ამოქმედდა. ამ ამბავმა სიღნაღის რაიონის მშრომელთა სიხარული გამოიწვია.

მაგრამ ამათდ, რაიონის ზოგიერთი უბნის მკვიდრთ იმედი გაუცრუვდათ, ტელეგადაცემების ხარისხი გაუარესდა.

ტელესადგურის მუშაკები სხვადასხვა ამბების მომიზეზებით გვამშვიდებენ. მაგრამ როდემდის,

ნ. შუშტაკაშვილი, მ. მოსესოვი, ზ. ზურაბაშვილი, ნ. გორგილეშვილი, ვ. კეტრიაშვილი.

მკითხველთა შენიშვნებთან დაკავშირებით გვქვია ხელი ქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ტელევიზიის სარეტრანსლაციო სადგურების და რადიოსარეალო ხაზების დირექციის მთავარი ინჟინრის ა. კაკაბაძის პასუხს.

სიღნაღის ტელერეტრანსლატორი 1960 წელს დამონტაჟდა. იგი თბილისის ტელეცენტრის გადაცემებს დაბრკოლებებითა და დაბალხარისხოვნად იღებდა. საქართველოში ეს იყო 1956 წელს შემოშავებული მცირე სიმძლავრის მეორე სადგური. ამასთან დაკავშირებით, რომ მიღების ხარისხი ძლიერ იყო დამოკიდებული წელიწადის დროსა, დღეღამესა და ამინდზე, ქალაქ სიღნაღის ტელემაყურებლებისაგან დაოსრულებული საჩივრები მოგვდიოდა უხარისხო გადაცემაზე. ეს საკითხი არაერთხელ განხილა საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის ბიურომ. გადაწყდა ტელესადგურის გადატანა სხვაგან, სადაც თბილისიდან მიღება მაღალხარისხოვანი იყო. რაიონმა ვალდებულება იკისრა იგივ შენობა, ელექტროენერგია, გეიყვანა მაღალვოლტიანი გადაცემის ხაზი, გაეკეთებინა მისადგომი გზა. კავშირგაბმულობის სამინისტრომ შეუკვეთა ახალი აპარატურა. 1969 წელს რეტრანსლატორი დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა. ექსპლოატაციამ დაგვანახვა, რომ ტელეგადაცემის ხარისხი მაღალი იყო, მაგრამ ამ რაიონის ძალიან დასერილი რელიეფის გამო რამდენადმე შეიცვალა მისგან გამოთვლილ მიღების ზონა.

მაგალითად, თვით სიღნაღის უმნიშვნელო ტერიტორიაზეა „ჩრდილო“, სადაც სატელევიზიო გადაცემის მიღება დაბალხარისხოვანია (წინათ იგი სხვა რაიონში იყო). ასეთივე „ჩრდილები“ გაჩნდა სიღნაღის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში, სადაც ზოგიერთი ტელემაყურებელი უფრო ცუდად იღებს ტელეგადაცემებს ქოტორიდან.

ამასთან ერთად ახალი დასახლებული პუნქტები იღებენ ტელეგადაცემებს, თუმცა წინათ ეს შესაძლებლობა არა ჰქონდათ.

ამას წინათ ქალაქ სიღნაღის, სოფლების ბოდბისხევის, ნუკრიანისა და ანაგის მკვიდრებმა გაზეთ „კომუნისტს“ მიმართეს კოლექტიური წერილით. იმის შესახებ, რომ ისინი ჭირვეული ხარისხით ვერ იღებენ ტელეგადაცემას. ქალაქ სიღნაღში გავგზავნეთ სპეციალისტთა ჯგუფი ადგილზე გამოსარკვევად. შემოწმებამ ტელემაყურებლების — ქ. სიღნაღის ხალხის წარმოების მუშაკების საჩივარი ნაწილობრივ დადასტურა. მაგალითად, ნუკრიანში მოქალაქე ნ. შუშტაკაშვილი ტელეგადაცემებს ნორმალურად იღებს. სიღნაღში მოქალაქენი ზ. ზურაბაშვილი, ნ. გორგილეშვილი და ლ. გიგოლაშვილი უხარისხოდ იღებენ, ვინაიდან ქალაქის ტერიტორიის იმ უბანში ცხოვრობენ, რომელიც „ჩრდილშია“. მოქალაქე ვ. პეტრიაშვილი, რომელიც ბოდბისხევში ცხოვრობს, ვერც წინათ იღებდა ხარისხოვნად და ვერც ახლა იღებს.

უნდა ითქვას, რომ 1972-73 წლებში კახეთის მთელი ტერიტორიის ხარისხოვანი ტელეგადაცემით უზრუნველყოფის საკითხი მთლიანად გადაწყდება. კახეთში აშენდება მძლავრი რეტრანსლატორი, რომელიც სიგნალს მიიღებს თბილისიდან რადიოსარეალო ხაზით.

ამჟამად ჩვენ გულდასმით ვსწავლობთ სიღნაღში შექმნილ მდგომარეობის და ოახლოეს მომავალში ის ტელემაყურებლები, რომლებიც ტელეგადაცემებს იღებენ, ახლაც მიიღებენ.

ა. კაკაბაძე.

ტელევიზიის სარეტრანსლაციო სადგურების და რადიოსარეალო ხაზების დირექციის მთავარი ინჟინერი.

# წერილები რედაქციას





## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. შ. ა. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი ამხ. შოთა ანდრიას-ძე დოლიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი
1970 წლის 22 მაისი.

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ი. ჭიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სა

# მსოფლიო დღეს

## ტელეტაიპის ლენტიდან

### პარტიზანთა საბრძოლო მოქმედება

● კაირო, 22 მაისი. (საკ-დესი). პალესტინის „ალ-ასიფის“ ორგანიზაციის პარტიზანებმა 19 მაისს დამით რაკეტები დაუშინეს ისრაელთა გამაგრებულ პოზიციებს უმ სედრის რაიონში (მდინარე იორდანის ხეობის ცენტრალური სექტორი), დაანგრიეს მოწინააღმდეგის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილი და სხვა სიმაგრენი, ნათქვამია პალესტინის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც მენს სააგენტომ გადმოსცა.

### მილიარდები შეიარაღებას

● ვაშინგტონი, 22 მაისი. (საკდესი). წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალ 1971 საფინანსო წელს — მიმდინარე წლის 1 ივლისიდან როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე საზღვარგარეთ სამხედრო ნაგებობათა მშენებლობისათვის თითქმის ორი მილიარდი დოლარის ასიგნებას.

ამ თანხაში შედის 332 მილიონი დოლარი „სეიფგარდის“ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის სამი რაკეტული მოედნის მშენებლობისათვის. სამხედრო მშენებლობის ასიგნებანი თვალისწინებენ აგრეთვე 40 მილიონ დოლარს სამხრეთ ვიეტნამში სამხედრო ნაგებობათა შექმნისათვის.

### საბჭოთა მეტალურგიისათვის

● ბრატისლავა, 22 მაისი. (საკდესი). დუბნიცის მანქანათმაშენებელმა ქარხანამ დაამთავრა კომპლექსური ავტომატიზაციი ხაზების დამზადება კონსტანტინოვკის მეტალურგიული ქარხნისათვის. დუბნიცელმა მანქანათმშენებლებმა ამ საბჭოთა ახალმშენებლობაზე უკვე გაგზავნეს მოწყობილობა ფოლადის ფურცლის დამუშავებისა და გამოყვანისათვის, წელს ქარხანა სსრ კავშირს მიაწვდის 27 მილიონი მანეთის პროდუქციას, სლოვაკიელი მანქანათმშენებლების ნაკეთობანი გამოირჩევა მაღალი ტექნიკური დონით და მათზე დიდი მოთხოვნაა მსოფლიო ბაზარზე.

ᲥᲐᲛᲑᲝᲯᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

# ᲘᲜᲓᲝᲩᲘᲜᲔᲗᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

## ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲘᲐ — ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 21 მაისი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებისა და გაზეთების „ორრესპონდენტთა „ცნობები კამბოჯის „ხათმარი მოქმედების ასპარეზიდან“ მოწმობენ, რომ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ და მისმა საიგონელმა მარionეტებმა კიდევ უფრო გააფართოეს აგრესია კამბოჯელი ხალხის წინააღმდეგ. ახლა კამბოჯის ტერიტორიაზე მოქმედებს უკვე 80 ათასზე მეტი ინტერვენტი. ამერიკისა და საიგონის ჯარების გარდა, კამბოჯელი ხალხის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში ფართოდ იყენებენ ამერიკის სადაზვერვო სამსახურების მიერ გაწვრთნილ და აღჭურვილ „ქხმერ-სერეის“ რაზმების დაქირავებულებს. იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ ასეთ კამბოჯელ დაქირავებულთა კოლონა, რომლებიც თვითმფრინავებით ჩაიყვანეს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის სადივერსიო ჯარების სპეციალური ბანაკებიდან შეიჭრაზეა გადასული პნომპენის სამხრეთ-დასავლეთით, № 3 გზატკეცილის გასწვრივ.

იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის „აგენტის მეორე კორესპონდენტი ნათქვამია, რომ ამერიკის მეშვიდე ფლოტის ახალი ნომალდები ჩაფიან სიამის ყურეში, რომ მონაწილეობა მიიღონ კამბოჯის ზღვის სანაპიროს ბლოკადაში.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

კასელი, 22 მაისი. (საკდესი). გუშინ საღამოს აქ დამთავრდა საუბრები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ვ. ბრანდტსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. შტოფს შორის. კომუნიკე ამ საუბართა შედეგების შესახებ არ გამოქვეყნებულა. ოფიციალური საუბრების დამთავრების შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შტოფმა გვირგვინით შეამკო ფაშიზმის მსხვერპლთა ძეგლი კასელში. გვირგვინით შემკობის ცერემონიას დაესწრო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ვ. ბრანდტი.

### ᲞᲠᲝᲢᲝᲙᲐᲪᲘᲐ

ბეირუთი, 22 მაისი. (საკდესი). როგორც ლიბანის სამხედრო წარმომადგენელმა განაცხადა, დღეს დილით ისრაელის ჯარებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ქალაქ ბინტ ჯბეილს და სოფელ იარუნს ლიბანის სამხრეთ ნაწილში. პარბაროსული ცეცხლის დაშენის შედეგად დაზარალდა მშვიდობიანი მოსახლეობა — მოკლულია ქალი, დაჭრილია ორი ქალი და ორი ბავშვი. დაინგრა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი.

## ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲖᲔ

**პარიზი, 22 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ო. კარასეევი გვიბაბუნებს:**

**გუშინ აქ საერთაშორისო კონფერენციების სახლში კლუბერის ავენიუზე გაიმართა ვიეტნამის საკითხზე ოთხმხრივი თათბირის მორიგი, 67-ე პლენარული სხდომა.**

**ნიქსონის** ადმინისტრაცია კვლავ აფართოებს ომს ვიეტნამში, კამბოჯასა და ლაოსში, განაცხადა სხდომაზე სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რეგოლუციური მთავრობის დელეგაციის თეთაურის მოადგილემ **დინ ბა თხმ.** მან ხაზი გაუსვა, **რომ** მიუხედავად ნიქსონის განცხადებებისა **სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის** ჯარების გაყვანის შესახებ, მათი რიცხვი გასულ თვეში 5000-ით გაიზარდა. ამერიკის ავიაცია კვლავ ბომბავს სამხრეთ ვიეტნამის დასახლებულ რაიონებს. ამასთან, ხაზი გაუსვა დინ ბა თხმ, ამერიკის ჯარები და საიგონის მარionეტთა ჯარები ახალ ოპერაციებს აწყობენ კამბოჯის ტერიტორიის სიღრმეში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის **დელეგაციის წარმომადგენელმა ნგუენ მინ ვიმ** ხაზი გაუსვა, რომ განაგრძობს რა ომს სამხრეთ ვიეტნამში, ამერიკის **შეერთებული** შტატები აფართოებს აგრესიას სხვა ქვეყნებში — კამბოჯასა და ლაოსში. ნგუენ მინ ვიმ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერიებულმა შტატებმა გაგზავნა ჯარები კამბოჯაში, დაარღვია ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა, ნეიტრალიტეტი და სუვერენიტეტი და ამრიგად გააფართოვა ომი მთელ ინდოჩინეთში.

პარიზის თექვსმეტი თვის მოლაპარაკების შემდეგ, განაცხადა ნგუენ მინ ვიმ, ყველასთვის სავსებით ცხადია, რომ ამერიკის მთავრობა განაგრძობს სამხრეთ ვიეტნამში აგრესიისა და ნეოკოლონიალიზმის პოლიტიკას. იგი აპირებს განაგრძოს სამხრეთ ვიეტნამის ოკუპაცია და შეინარჩუნოს საიგონში მარionეტული ადმინისტრაცია, რომ გამოიყენოს იგი სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის ნეოკოლონიალიზმის განხორციელების იარაღად.

## ᲡᲐᲛᲘᲛᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

ვაშინგტონი, 22 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ლ. ქეველი გვაცნობებს:

ისრაელის მთავრობა არ აპირებს უარი თქვას თავის აგრესიულ კურსზე ახლო აღმოსავლეთში, რომელიც დაძაბულობის მიზეზია მსოფლიოს ამ რაიონში. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ებანმა, რომელიც ოფიციალური ვიზიტით არის ამერიკის შეერთებულ შტატებში, გუშინ პრესკონფერენციაზე ვაშინგტონში განაცხადა, რომ ისრაელის პოლიტიკა, 1966 წლიდან მოყოლებული, „არ შეცვლილა“. ებანის სიტყვით, ეს არის „ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გაფოლებით ისრაელის პოზიციათა განმტკიცების“ პოლიტიკა.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია მოითხოვს ისრაელის მთელი ჯარების გაყვანას უკანონოდ ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან. მაგრამ, როგორც ებანის გამონათქვამებიდან ჩანს, ისრაელი ცდილობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის წინააღმდეგ შემოიმტკიცოს დაპყრობილი ტერიტორიები.

ისრაელის მინისტრი ამტკიცებდა, თითქოს ცეცხლის შეწყვეტის დროებით დაწესებული ხაზი „კანონიერი საერთაშორისო საზღვარი“ იყოს.

ებანმა განაცხადა, რომ ისრაელი „კლავ იღებს ამერიკის სამხედრო მოწყობილობას წინათ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად“ და თქვა, რომ ისრაელის მთავრობა ცდილობს დამატებით მიიღოს სამხედრო დახმარება შეერთებული შტატებისაგან.

## ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ**

# ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 22 მაისი. (საკდესი). **ამერიკის „გაზეთები წერენ სამხრეთ ვიეტნამის მარionეტული არმიის მიერ კამბოჯის ტერიტორიის გრძელვადიანი ოკუპაციის გეგმებზე.** როგორც გაზეთი „ნიუიორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ საიგონის ჯარები შეიძლება „კამბოჯაში დარჩნენ 30 ივნისის შემდეგაც, როცა, როგორც პრეზიდენტი ნიქსონი ირწმუნება, ამერიკის ჯარები დატოვებენ კამბოჯის ტერიტორიას.

საიგონის ხროვას სურს თავისი ჯარების ყოფნა კამბოჯის ტერიტორიაზე იმისათვის გამოიყენონ, რომ სცადოს ხელი გდგოს კამბოჯის ზოგიერთი მიწა, კერძოდ, რაიონი. რომელიც ცნობილია „თუთიყუშის ნისკარტის“ სახელწოდებით. სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა მ. მენსფილდმა შეშფოთება გამოთქვა საიგონის რეჟიმის ტერიტორიულ პრეტენზიათა გამო. კორესპონდენტებთან საუბარში მენსფილდმა აღნიშნა, რომ შეშფოთებულია საიგონის იმ განცხადებით, რომ მისი ჯარები კამბოჯაში დარჩებიან ამერიკის ჯარების გამოყვანის შემდეგაც. როგორც სენატორმა თქვა, მისი აზრით, საიგონის რეჟიმი აპირებს აწარმოოს კამბოჯაში შემდგომი სამხედრო კამპანია ამერიკელ „მრჩეველთა და მაშველი ძალების“ მონაწილეობით.

მენსფილდმა გამოთქვა აზრი, რომ ნიქსონის მთავრობამ იცის საიგონის რეჟიმის ტერიტორიული პრეტენზიები კამბოჯის მიმართ.

## ᲡᲐᲛᲘᲛᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 22 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ლ. ქეველი გვაცნობებს:

ისრაელის მთავრობა არ აპირებს უარი თქვას თავის აგრესიულ კურსზე ახლო აღმოსავლეთში, რომელიც დაძაბულობის მიზეზია მსოფლიოს ამ რაიონში. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ებანმა, რომელიც ოფიციალური ვიზიტით არის ამერიკის შეერთებულ შტატებში, გუშინ პრესკონფერენციაზე ვაშინგტონში განაცხადა, რომ ისრაელის პოლიტიკა, 1966 წლიდან მოყოლებული, „არ შეცვლილა“. ებანის სიტყვით, ეს არის „ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გაფოლებით ისრაელის პოზიციათა განმტკიცების“ პოლიტიკა.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის

# ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

**სოფია, 22 მაისი. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის სხდომა.**

სხდომა გახსნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრმა არმიის გენერალმა დ. ჯუროვმა. შესვლა ხუთეული ში იგი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკების მთავრობის სახელით მიესალმა სხდომის მონაწილეებს და უსურვა წარმატებები და ნაყოფიერი მუშაობა.

კომიტეტის სხდომა მუშაობას განაგრძობს.

ნაშუადღევს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის წევრებმა გვირგვინები შეამკეს გ. დიმიტროვის მავზოლეუმი.

საღამოს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრმა დ. ჯუროვმა დაბანაზობა გამართა კომიტეტის სხდომის მონაწილეთა პატივსაცემად.

**1970 წლის 21-22 მაისს ქალაქ სოფიაში წინათ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მიმდინარეობდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის სხდომა. კომიტეტის სხდომაში მონაწილეობდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების თავდაცვის მინისტრების კომიტეტის წევრები, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, შტაბის უფროსი, აგრეთვე რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მინისტრის პირველი მოადგილე — გენერალური შტაბის უფროსი.**

**სხდომამ ჩაიარა სხდომის მონაწილეთა სრული ურთიერთგაგებისა და შეხედულებათა ერთიანობის ვითარებაში.**

**სხდომას თავმჯდომარეობდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი დ. ჯუროვი.**

# ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲖᲔ

**პარიზი, 22 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ო. კარასეევი გვიბაბუნებს:**

**გუშინ აქ საერთაშორისო კონფერენციების სახლში კლუბერის ავენიუზე გაიმართა ვიეტნამის საკითხზე ოთხმხრივი თათბირის მორიგი, 67-ე პლენარული სხდომა.**

**ნიქსონის** ადმინისტრაცია კვლავ აფართოებს ომს ვიეტნამში, კამბოჯასა და ლაოსში, განაცხადა სხდომაზე სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რეგოლუციური მთავრობის დელეგაციის თეთაურის მოადგილემ **დინ ბა თხმ.** მან ხაზი გაუსვა, **რომ** მიუხედავად ნიქსონის განცხადებებისა **სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის** ჯარების გაყვანის შესახებ, მათი რიცხვი გასულ თვეში 5000-ით გაიზარდა. ამერიკის ავიაცია კვლავ ბომბავს სამხრეთ ვიეტნამის დასახლებულ რაიონებს. ამასთან, ხაზი გაუსვა დინ ბა თხმ, ამერიკის ჯარები და საიგონის მარionეტთა ჯარები ახალ ოპერაციებს აწყობენ კამბოჯის ტერიტორიის სიღრმეში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის **დელეგაციის წარმომადგენელმა ნგუენ მინ ვიმ** ხაზი გაუსვა, **რომ** განაგრძობს რა ომს სამხრეთ ვიეტნამში, ამერიკის **შეერთებული** შტატები აფართოებს აგრესიას სხვა ქვეყნებში — კამბოჯასა და ლაოსში. ნგუენ მინ ვიმ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერ-

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ**

**ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲐ**

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** ამერიკის შეერთებულ შტატებში იმართება ომის საწინააღმდეგო მასობრივი მანიფესტაციები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ ამერიკის შეერთებული შტატების 300 უნივერსიტეტისა და კოლეჯის წარმომადგენლები.

**ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ:** ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციის მონაწილენი საპატიმრო მანქანის ძარაზე ვაშინგტონში.

ტელეფოტო **ᲘᲣᲠᲘ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡᲐ.**

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲙᲘᲑᲝᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**22 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲨᲘ (ᲐᲨᲨ) ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲨᲔᲣᲔᲓᲐ ᲝᲜᲙᲝᲚᲝᲒᲗᲐ I ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ. ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲖᲘ ᲛᲘᲪᲔᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲔᲚᲔᲝᲜᲝᲠᲐ ᲑᲝᲠᲑᲣᲜᲝᲕᲐᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲚ ᲛᲘᲪᲔᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲘᲑᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲪᲔᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲕᲔᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ.**

**დღემდე** დავას იწვევს კიბოს წარმოშობის საკითხი. რა კონცეფციას ედგახართ თქვენ? რა შეფასებას აძლევთ მუშაობას ადამიანის კიბოს ვირუსის გამოყოფის დარგში, რაზეც ამ ბოლო დროს არაერთხელ იუწყებოდა მსოფლიო პრესა?

ᲕᲔᲜᲔᲓᲘᲥᲢᲘ ᲡᲢᲔᲚᲚᲔ: კიბოს გამომწვევი მიზეზების გაგებამდე ჩვენ საკმაოდ ახლოს მიგვაყავართ თანამედროვე კვლევას ვირუსული მეთოდის გამოყენებით.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲝᲠᲘᲜᲘ: მრავალი წლის მანძილზე მე ხაზგასმით აღვნიშნავ კიბოს ვირუსული თეორიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროამდე დამტკიცებული არ არის ადამიანთა არც ერთი ავთვისებიანი სიმსივნის ვირუსული ბუნება.

ვფიქრობ, უახლოეს ხანში გაჩნდება ადამიანის ლეიკოზებისა და სარკომათა ჯგუფის ზოგიერთი სიმსივნის ვირუსული წარმოშობის დადასტურებანი. მიმაჩნია, რომ ძალიან დიდი, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა უკანასკნელი წლების ნამუშევრებს, რომლებმაც რაუსის ქათმის სარკომის მაგალითზე დაგვანახვეს, რომ შესაძლებელია ონკოგენური ვირუსებით სახეობრივი ბარიერების დაძლევა, აგრეთვე ისეთ ნამუშევრებს, რომლებითაც დამტკიცდა ადამიანის ორგანიზმში მობინადრე ზოგიერთი ადენოვირუსის ონკოგენურობა.

ადამიანის ზოგიერთი სიმსივნის ვირუსული ბუნების დადასტურებათა გამოჩენა. არ იქნება იმის მომასწავებელი, რომ სხვადასხვა კანცეროგენურ აგენტებს მნიშვნელობა არა აქვთ ავთვისებიან გადაგვარებაში. ვირუსული თეორიის არც ერთი მომხრე დღეს არ უარყოფს ქიმიური და სხივური კანცეროგენური აგენტების დიდმნიშვნელოვან როლს, ᲞᲠᲝᲛᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘᲡ დარღვევის როლს. ამავე დროს ფრთხეწოდებული პოლიეტიოლოგიური თეორიის არც ერთ მომხრეს არ შეუძლია გამორიცხოს სიმსივნის წარმოშობა ვირუსები ან ფაქტორთა რიცხვიდან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სიმსივნის ზრდისათვის.

ᲨᲝᲠᲔ ᲛᲐᲪᲔ: კიბოს მიზეზებზე დღეს შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ექსპერიმენტულ მასალებზე დაყრდნობით: კიბოს ზოგიერთ სახეობას ვირუსები იწვევენ, ზოგს — კანცეროგენური ნივთიერებანი, სხვებს — რადიაცია. არის ბევრი მიზეზი ეფიქრობთ, რომ ასეთია სიმსივნის ვითარება აგრეთვე ადამიანის მიმართ.

რაც შეეხება ადამიანის კიბოს ვირუსებს — ერთადერთ დამაჯერებლად მიმაჩნია მუშაობა ავთვისებიანი სარკომებიდან ვირუსის გამოსაყოფად.

ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲚᲕᲝᲕᲘᲩᲘ: ცხოველთა დაავადება კიბოთი, აგრეთვე ადამიანის ზოგიერთი ეჭვიანული ავადმყოფობა უდავოდ გადმოწერილია ვირუსებით. მაგრამ არსებობს არაგირუსული წარმოშობის კიბოვანი ავადმყოფობებიც.

ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲩᲐᲠᲚᲘᲡ: მე მიმაჩნია, რომ კიბოთი დაავადებას მრავალი მიზეზი იწვევს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ადამიანში იგი შეიძლება გამოიწვიოს ქიმიურმა პრეპარატებმა, რადიაციამ. უკანასკნელ წლებში ადამიანის კიბოს გამოწვევასა და წარმოშობაში ვირუსებზეც აქცევ ᲐᲥᲪᲔᲡᲘ. მაგრამ მე ჯერ არ შეიძლებლიერად მაგიერი დადასტურებას, რომ სწორედ სიმსივნიდან გამოყოფილი ვირუსები იწვევენ ამ დაავადების პირველმიზეზი.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘᲡ: ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲡᲐᲕᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠ

# შეხვედრა ბერლინელებთან

### რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 22 მაისი (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები მეგობრულად შეხვდნენ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივს, რომელიც დრეზდენისა და ლაიპციგის შემდეგ ბერლინში ჩამოვიდა საგასტროლო ტურნეს გასაგრძელებლად.

ქართული სცენის ოსტატები თავიანთ სპექტაკლებს აჩვენებენ ბერლინის ცნობილი ბრეხტის თეატრის „ბერლინერ ანსამბლენის“ სცენაზე. ხუთშაბათ, 21 მაისს, დედაქალაქში გასტროლების პირველ დღეს წარმოდგენილ იქნა ს. ჟღენტის პიესა „მიწის შვილები“. მაყურებელმა დიდი ინტერესით მიიღო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს სპექტაკლი. დღეს სცენა დაეთმო „ქართულ კლასიკას“ — „სიბრძნე სიცრუისას“ და „სამანიშვილის დედინაცვალს“.

ხვალ, 23 მაისს, ახალი სპექტაკლია — ჟან ანუის „ანტიგონე“. ეს სპექტაკლი დრეზდენისა და ლაიპციგის მაყურებელს არ უნახავს, პირველად ბერლინში იქნება წარმოდგენილი.

## ჩვენი კალენდარი

# გამოჩენილი პედიატრი

ქართული მედიცინის სახელოვან მოღვაწეთა შორის, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ სამედიცინო აზროვნებას, პროფესორმა მარიამ ქრისტეფორეს ასულმა უგრელიძემ თავისი ხანგრძლივი მეცნიერულ-პედაგოგიური, საექიმო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით წარუშელელი კვალი დატოვა ქართულ პედიატრიულ მეცნიერებაში.

მარიამ უგრელიძე დაიბადა 1885 წლის 26 იანვარს სოფელ დიღომში, იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენტია და პროგრესიულად მოაზროვნე პედაგოგის ქრისტეფორე უგრელიძის ოჯახში. 1903 წელს წარმატებით ამთავრებს თბილისის ქალთა საპარტეო სასწავლებელს. 1904 წელს მარიამი შედის პეტერბურგის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტში. აღსანიშნავია, რომ იგი სხვა მოწინავე სტუდენტებთან ერთად იანვრის „სისხლიანი კვირის“ მოწმე ხდება და როგორც სტუდენტი-მედიკი აქტიურ მონაწილეობას ღებულ დაჭრილთა მოვლა-პატრონობის საქმეში.

მარიამ უგრელიძე ამყარებს კავშირს სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციასთან, ემზადება რევოლუციურ მუშაობაში, რაც შეუმჩნეველი არ რჩება მეფის ოხრანკას. 1906 წელს მას აპატიმრებენ ლექციის წინ და ბრალად სდებენ სამხედრო ნაწილებში პროკლამაციების გავრცელებას.

ორი წლის პატიმრობის შემდეგ მ. უგრელიძეს ათავისუფლებენ, მაგრამ უკრძალავენ რუსეთის იმპერიის ქალაქებში სწავლას. საცხოვრებელ ადგილად უნიშნავენ არხანგელსკს. მარიამი ახერხებს საზღვარგარეთ წასვლას. 1907-1909 წლებში იგი საფრანგეთშია, ხოლო 1909 წლიდან შვეიცარიაში, სადაც აგრძელებს სწავლას სამედიცინო ფაკულტეტზე.

1914 წლის ბოლოს, ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იგი ჩამოდის რუსეთში და წარმატებით აბარებს სახელმწიფო გამოცდებს ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში ქალაქ ოდესაში, 1918 წელს მარიამ უგრელიძე სამშობლოში ბრუნდება და მუშაობს სამხედრო ჰოსპიტალში, ხოლო 1919 წლიდან ქალაქის პირველ საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში.

1921 წლის მარტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან პედიატრიის კათედრის ჩამოყალიბებისას მას ირჩევენ კათედრის უფროს ასისტენტად, ხოლო 1927 წლიდან, პროფესორ სვიმონ გოგიტაძის სიკვდილის შემდეგ, ფაქტიურად განაგებს კათედრის როგორც სამკურნალო, ისე პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას.

1930 წელს მარიამ უგრელიძეს ირჩევენ სამკურნალო ფაკულტეტის ბავშვთა სნეულებათა კათედრის გამგედ. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია. აღსანიშნავია, რომ მარიამ უგრელიძე საბჭოთა კავშირში პირველი ქალი პედიატრი იყო, რომელმაც პროფესორის წოდება მიიღო.

პროფესორი მ. უგრელიძე იყო არა მარტო კარგი პედაგოგი და მეცნიერი, არამედ დიდი ენთუზიასტიც ჩვენს რესპუბლიკაში ბავშვთა ჯანდაცვის საქმის განვითარებისა. იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი დედათა და ბავშვთა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა, სადაც წლების განმავლობაში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. 1929 წელს მ. უგრელიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოება, რომლის უცვლელ თავმჯდომარედაც იგი სიკვდილამდე ითვლებოდა. იგი იყო აგრეთვე პედიატრთა საკავშირო საზოგადოების საპატიო წევრი, ჟურნალ „პედიატრიის“ რედკოლეგიის წევრი, სამედიცინო ენციკლოპედიის რედაქციის წევრი და სხვ.

მარიამ უგრელიძის მეცნიერული მოღვაწეობა, მისი ღვაწლი ქართული პედიატრიის განვითარებაში სამუდამოდ შევა ქართული სამედიცინო მეცნიერების მატიანეში.

**პ. გელბახიანი**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;

**ი. ფალავა**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი;

**ნ. ხერხეულიძე**, დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

## დედაქალაქის სიახლენი



# გვეპატიქება „არაგვი“

სულ უფრო ლამაზი ხდება საქართველოს დედაქალაქი თბილისი. უკანასკნელ წლებში ქალაქი დამშვენდა ბევრი მონუმენტური შენობით. მტკვრის ორივე მხარეს მრავალ კილომეტრზე გადაიჭიმა განიერი სანაპიროები.

არც ისე დიდი ხნის წინათ იმ ადგილას, სადაც საწყლისნო „აუზი იყო, საქართველოს სამხედრო გზისაკენ გადმართა მარჯვენა მხარის მოასფალტებული სანაპირო. აქ პარკის ძირას ამენდა ახალი რესტორანი „არაგვი“. ეს საქართველოში ყველაზე დიდი რესტორანია.

პროექტის ავტორებს — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის არქიტექტორებს ა. რევაზიშვილს, ა. ჩხიკვაძეს და ო. მაჩაბელს გათვალისწინებიათ სამშენებლო ტექნიკის ყველა მომენტი, ყველა საახლე. მოხერხებულად ჩაურთავთ მწვანე მასივში ლამაზი შენობა, დაუკავშირებიათ იგი უზარმაზარ ხეებთან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს ხეები დიდი ხანია შეუზარდნენ შენობას და შექმნეს ანსამბლი. პროექტი განხორციელა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა.

მთელი შენობა აგებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან. მოპირკეთებულია კურსების კრანიტით. სადახლოს, მოლითის, ხვანეთისა და ურალის მარმარილოთი, „ბოლნისის ტუფით ფირადებით შესრულებული უზარმაზარი მოზაიკური პანო.

შენობის წინ სკვერში, რომელსაც ორი მეტრი უჭირავს, აგებულია და მიდამოსთან ლამაზად შერწყმულია ორიგინალური კონსტრუქციის აუზი, შადრევნებითა და ინკრუსტირებული ფსკერით. მძლავრი ტუმბოები წყლის მუდმივ ირკულაციას ქმნიან. ამ აუზის წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს — გამოყენებულია რესტორანში შიდა აკრეკატების გასაცივებლად.

რესტორან „არაგვის“ სამ სართულზე ერთდროულად შეიძლება მოთავსდეს 850 კაცი. პირველი სართულზეა დარბაზი-მარანი, ეროვნული დარბაზი და საბანკეტო დარბაზი ოთხმოცი კაცისათვის. მეორეზე — უზარმაზარი სასადილო დარბაზი 540 კაცისათვის აქვე მოწყობილია ესტრადა და საცეკვაო მოედანი. მესამე ფია სართულზე — კიდე ასი კაცისათვის. დიდია რესტორნის დამხმარე მეურნეობა — სამაცივრო დანადგარები თევზის, ხორცის, რძის, ბოსტნეულის პროდუქტებისათვის, სასმელებისათვის.

— რესტორანთან არის საკონდიტრო საამქრო, — განაცხადა ჩვენთან საუბარში თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს უფროსმა ი. ბოკერიამ. — პროდუქტების გადასამუშავებელი საამქრო. აგებულია თონე. თვითეული სართული უზრუნველყოფილია საკუთარი სამშარეულოთი.

რესტორანში სამუშაოდ მიწვეული არიან ქალაქის საუკეთესო მზარეულები. რესტორანს აქვს ქართული ეროვნული კერძების, აგრეთვე საერთაშორისო სამზარეულოს კერძების დიდი ასორტიმენტი.

აქ ყველაფერი გათვალისწინებულია იმისათვის, რომ საღხენად მოსულმა ნამდვილად ილხინოს და ისიამოვნოს, კმაყოფილი დარჩეს სამზარეულოთიც და მომსახურებითაც. თვალი სჭამს და თვალი სვამსო, ნათქვამია. ეს სწორედ „არაგვზეა“ ზედამეტრილი. აქაურობა, როგორც იტყვიან ავ თვალს არ ენახვის, და, იმედია, ყველა, ვინც „არაგვში“ დროს საჭარბოდად შეავ. გაუფრთხილდება კიდეც ამ შესანიშნავ რესტორანს.

**ვლ. გინზბურგი.**



სურათებზე: მარცხნივ ზემოთ — ახალი რესტორანი „არაგვი“; ქვემოთ — რესტორანის მთავარი დარბაზის ერთი კუთხე; მარჯვნივ — აუზი რესტორანის წინ.

ფოტო აპეტორისა.

## ლ. გახოკიძე

**ივანეს-ძე გახოკიძე.**

ლ. გახოკიძე დაიბადა 1913 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ზედა ხუნწში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1931 წელს დაამთავრა სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო მშობლიურ სოფელში შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლად. 1935 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1937 წელს და იმავე წელს მუშაობა დაიწყო სამტრედიის პირველ საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ. 1942 წლამდე მუშაობდა სამტრედიის რაიონის სხვადასხვა სკოლებში ჯერ სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგ კი დირექტორად. 1939 წელს დამთავრა ქუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. შემდეგ იყო პარტიის სამტრედიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. 1945-52 წლებში კი მუშაობს საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომში ჯერ მდივნად კადრების დარგში, შემდეგ კი მდივნად. 1952 წლის მარტიდან ოქტომბრამდე მუშაობდა საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის მეორე მდივნად.

1952 წლიდან ლ. გახოკიძე კვლავ სამტრედიაშია და 1965 წლამდე ეწევა პედაგოგიურ მუშაობას. 1966 წლის იანვარში არჩეულ იქნა მელაურის ლესილიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ხოლო 1968 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ბაშის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად.

ლ. გახოკიძე 1940 წლიდან არის სკკპ წევრი. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და რამდენიმე მედლით.

პრინციპული, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანის ლ. გახოკიძის ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# გადაცემა

## ურღვევი მეგობრობა

### ჩეხოსლოვაკიის კულტურის დღეები სსრ კავშირში

აი უკვე ათი დღეა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიის კულტურის დღეები — ფაშისტ დამპყრობთაგან ქვეყნის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაული. ეს დღესასწაული გაიმართა საქართველოშიც.

მუსიკის ბევრი მოყვარული შეეგრება ჩეხოსლოვაკიელი ახალგაზრდა პიანისტის ინდრა ვრამპეროვას სოლურ კონცერტზე, რომელიც 21 მაისს გაიმართა.

თავისი სოლური კონცერტისათვის ჩეხოსლოვაკიელმა სტუმარმა შეარჩია საინტერესო პროგრამა — ბეთჰოვენის, მენდელსონის, ვიენიავსკის, სმეტანას, დებიუსის ნაწარმოებები. მსმენელები გულთბილად შეხვდნენ შესანიშნავი პიანისტის გამოსვლას.

23 მაისს ინდრა ვრამპეროვა კვლავ შეხვდება მსმენელებს. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი შეასრულებს დვორჟაკის მესუთე სიმფონიას. ორკესტრის დირიჟორი იქნება დებიუტანტი, თბილისის კონსერვატორიის ასპირანტურის კურსდამთავრებული (პროფესორ ხ. დიმიტრიადის კლასი) ა. მამაცაშვილი. მეორე განყოფილებაში ჩეხოსლოვაკიელი პიანისტი შეასრულებს ბეთჰოვენის პირველ კონცერტს.

ჩვენს ქალაქში სტუმრად იყო ჩეხოსლოვაკიელი პროფესორი ი. ბრჩაკიც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან წაიკითხა ლექცია „ეკონომიური მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში და მისი განვითარების გზები“, რომელმაც მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

„ჩეხოსლოვაკიის კულტურის დღეების“ პროგრამაშია მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ყორნიდი ჯარისკაცი შვეიკი“, რომელიც დადგა რეჟისორმა ს. მრევლიშვილმა. (საქ-დესი).

## ფეხბურთის მოედნებზე

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში „ი“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ მოსკოვისა და მინსკის „დინამოს“ გუნდები. გამარჯვეს მინსკელებმა 2:1.

ასტრახანში ადგილობრივმა „ვოლგარმა“ მოუგო თბილისის „ლოკომოტივს“ 2:0.

# უყაიმო თამაში

ძალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ორი ტურის შემდეგ არცერთი პარტია არ დამთავრებულა ყაიმით.

გუშინდელ მეორე ტურში უურადღების ცენტრში იყო ე. რუბცოვა-ნ. ალექსანდრიას პარტია. მოსკოველი ოსტატი ფრიად აქტიურად თამაშობდა და აშკარა უპირატესობა მიიღო. მატელშპილში ალექსანდრიამ პაიკი წაგო. მალე მან დათმო მეორე პაიკი და ბრძოლა გაამწვავა. მძაფრ ორმხრივ ცაცნოტში ე. რუბცოვა ზუსტად თამაშობდა და გაიმარჯვა.

ა. ნიკოლაუმ მარტივი ტაქტიკური მახე დაუგო ბ. მერლინს. იუგოსლავიელი მოჭადრაკე აჩქარდა, დიდი მატერიალური ზარალი განიცადა და დანებდა. პოლონეთის ჩემპიონმა კ. რაძიკოვსკამ უკვე 32-ე სვლაზე გადაიცილა მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს და წაგება ჩაეთვალა ო. ანდრეევასთან.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ო. ხუგაშვილს მოსაგები პოზიცია აქვს ლ. კოროშინაძესთან. ნ. ჩიქობავამ ხარისხი წაგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ო. რუბცოვასთან, მაგრამ შემდეგ კარგად თამაშობდა. გადადებული პოზიცია დაახლოებით თანაბარია. ბულგარეთის ჩემპიონ ა. გეორგიევას უკეთესი პოზიცია აქვს ც. კობაიძესთან, ხოლო ე. კაკაბაძე-ც. კობაიძესთან ლეს პარტია გადაიდო რთულ მდგომარეობაში.

ორი ტურის შემდეგ 2 ქულით ლიდერია ე. რუბცოვა.

**გ. ბამრეკელი.**

## ჩემპიონობა დაიბრუნეს

სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრებმა გუნდმა სამი წლის შემდეგ დაიბრუნა ევროპის ჩემპიონობა. ევრეცლის პრაზიორები გახდნენ ჰოლანდიელები. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს საფრანგეთისა და ავსტრიის გუნდებმა. ფინალში სსრ კავშირისა და ჰოლანდიის გუნდების შეხვედრა ფრედ — 2:2 დამთავრდა, მაგრამ პირველობა წმინდა გამარჯვებით საბჭოთა ნაკრებს მიენიჭა.

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში იყვნენ — ა. ბონდარენკო, ხ. ხუსლინი, დ. რუდმანი, ვ. პოკატაევი და გ. ონაშვილი. საბჭოთა ძიუდოისტებმა დაამარცხეს შვედები 5:0, დიდი ბრიტანეთის მოჭიდავეები — 3:0, ფრანგები — 5:0. დღეს იწყება პირადი ასპარეზობა.

## სპორტული ქრონიკა

● ბუშინ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელთა მოთხოვნით მოსკოვიდან მეხიკოში გაფრინდნენ მეკარეები ლ. იაშინი და ლ. მშუკი.

● **სსრ კავშირის** ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა გამარჯვებით დაიწყო ტურნე იაპონიაში. საბჭოთა ფრენბურთელებმა დამარცხეს იაპონიის ნაკრები 3:1.

● **30 მსაჯი** მოემსახურება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს მექსიკაში. დღეს მათთვის იწყება სპეციალური სემინარი. საბჭოთა კავშირიდან არბიტრთა ამ ჯგუფში შედის ტ. ბახრამოვი.

● **შუშას** უკანასკნელ ყოველთვიურ ბიულეტენში დაბეჭდილია წლევანდელი სეზონის საუკეთესო არბიტრთა სია. დაჯილდოებულთა შორის არის თბილისელი მსაჯი კ. ყრუაშვილი.

● **მატჩი** მეხიკოში სალვადორის ნაკრებსა და მექსიკის „ატლანტეს“ შორის დამთავრდა ფრედ — 1:1.

# მაისიც ჭირვეულობს

მეტად ცვალებადი ამინდებია წელს საქართველოში. მზიან დღეებს ცვლის ხშირი წვიმები და ელჭექი, ეს, თითქოს, გაზაფხულისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ტემპერატურის ასეთი მკვეთრი ცვლილება ხასიათმავნო როდია.

როგორც თბილისის ამინდის ბიუროს უფროსმა ინჟინერ-სინოპტიკოსმა ნ. ძაბაშვილმა, გვაცნობა, ამინდის ასეთი ცვლილება გამოწვეულია. ხმელთაშუა ზღვიდან ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილი ციკლონებით. სწორედ ამის შედეგად 19-20 მაისს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოვიდა ელჭექის ხასიათის წვიმა, ზოგ რაიონში კი სეტყვამაც წამოუშინა, რასაც თან ახლდა ტემპერატურის დაცემა 8-10 გრადუსით.

21 მაისიდან კი დათბა. გუშინ 12 საათისათვის თბილისში იყო 25 გრადუსი სითბო.

23 მაისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, წვიმა, ელჭექი, წამში 7-12 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ტემპერატურა ბარში დღისით 20-25, მთაში — 15-20 გრადუსი. აღმოსავლეთ საქართველოში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მეტწილად დასავლეთ რაიონებში, მტკვრის ხეობაში წამში 10-15 მეტრი სიძლიერის ქარი; ტემპერატურა ბარში — დღისით 21-26, მთაში — 12-17 გრადუსი.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა, უმნიშვნელო წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა 24-26 გრადუსი.

მომდევნო ორ დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი უმეტესად მთიან რაიონებში, ტემპერატურის მცირე ცვლილებით.

## ამინდი

# ლაჰარაკობს და უჩვენებს თბილისი

## რადიო

**24 მაისი**

**პირველი პროგრამა**

**06.05** — უკანასკნელი ცნობები, **06.35** — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, **09.15** — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, **09.30** — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, **11.45** — მელერის ვოკალური კვარტეტი გ. ბაკრაძის ხელმძღვანელობით, **12.05** — მუსიკალური რადიოფაფა, **12.30** — რადიოფურცელი „ფიზკულტურა და სპორტი“, **14.00** — მოსწავლეთათვის. „მეცხრე“. რადიოდადგმა, **15.00** — „მეგობრობის კონცერტი“. ტრანსლაცია ერევნიდან, **15.30** — ი. ნინეშვილი. ლექსები, **16.15** — რადიოფურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, **17.15** — ხ. მირიანაშვილი. სიმღერები, **17.30** — რადიონარკვევი „დეპუტატობის კანდიდატები“, **17.45** — შ. კიკნაძის კონცერტი, **18.10** — კონცერტი „თქვენი თხოვნით. მეგობრებო!“, **19.40** — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, **20.30** — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ (რადიოსმენელთა თხოვნით, **21.30** — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, **22.30** — უკანასკნელი ცნობები, **22.50** — გ. ყანჩელი. მუსიკა კინოფილმებიდან, **23.30** — უკრავს საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო-სიმფონიური ორკესტრი, **23.55** — უკანასკნელი ცნობები.

## ტელევიზია

**შაბათი, 23 მაისი**

09.35 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.05 — „ჩვენი სტუმრები“, 11.30 — გერმანული მხატვრული ფილმი — „განძი ტბის ფსკერზე“, 12.50 — „იდიდე მარად ჩემო ხამშობლოვ“ — ქ. რუსთაველი (17 მაისის გადაცემის გაპირრება), 14.10 — საფორტპიანო მუსიკის კონცერტი, 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — კონცერტი, 18.45 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.10 — გადაცემა „მშვიდობის რაკეტები“, 19.55 — გადაცემა — „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე“, 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 —თეატრი სტუდიაში (ნაწყვეტები ცაგერის რაიონის სახალხო თეატრის სპექტაკლიდან — „მზის ამოსვლამდე“), 21.20 — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — მხატვრული ფილმი — „ცოცხალი ლეში“ (მეორე სერია), 22.50 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 23.30 — მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში (გადმოცემა იუგოსლავიიდან).

**ორშაბათი, 25 მაისი**

10.05 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი „ცოცხალი ლეში“ (პირველი და მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — გადაცემა უფროსკლასელთათვის. „ეზო. მშვენიერებისაკენ“, 18.55 — კინონარკვევი, 19.05 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „საკავშირო კომკავშირის XVI ყრილობის შესახვედრად“, 19.20 — „ბუსიკალური ხელოვნების ვარსკვლავები“, 20.10 — სატელევიზიო სპექტაკლი „გვიანი შემოდგომის საღამო“. პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. 1. მუსიკალური გადაცემა; 2. მხატვრული ფილმი „საგუშაგო მთებში“.

**სამშაბათი, 26 მაისი**

10.45 — ახალი ამბები, (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.55 — საკ. ალკკ XVI ყრილობის გახსნის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 12.30 — მხატვრული ფილმი „ტყის ლეგენდა“, 13.45 — „ექიმთა დასახმარებლად“ 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — კინონარკვევი, 18.15 — განცხადებები, 18.20 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ჩვენი სკოლა“, 19.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ერთხელ“, 19.10 — „ტექნიკის სამყაროში“, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — საკ. ალკკ XVI ყრილობისადმი მიძღვნილი კონცერტის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. ტრანსლაციის შემდეგ მხატვრული ფილმი.

**ოთხშაბათი, 27 მაისი**

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 12.00 — მხატვრული ფილმი „პირველი ქალიშვილი“, 18.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.10 — განცხადებები, 18.15 — გადაცემა ბავშვებისათვის ციკლიდან „ჩვენი სახელოვანი წინაპრები“, 19.05 — „ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებანი“, 19.25 — კონცერტი, 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — გადაცემა ახალგაზრდობა ირჩევს პროფესიას“, 20.40 — „თეატრი სტუდიაში“, 21.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „კინოობიექტივი“.

**ხუთშაბათი, 28 მაისი**

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „მესაზღვრის დღე“, 19.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „აბიტურიენტი“-70“, 20.00 — კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „მთვრის მოტაცება“, შესასვენების დროს — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.45 — ქართული ხალხური სიმღერები.

**პარასკევი, 29 მაისი**

10.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 10.35 — ლექცია ქართულ ენაში, 11.05 — მხატვრული ფილმი „ხუთნი ციდან“, 18.05 — ახალი ამბები,—18.10 — განცხადებები, 18.15—გადაცემა ბავშვებისათვის—„თბილისის ფერიცვალება“, 18.45 — „დეპუტატობის კანდიდატები“, 19.05 — „მუსიკის სამყაროში“ — სატელევიზიო მიმოხილვა, 20.05 — კანონიერების სადარაჯოზე“, 20.30 — გადაცემა „გიორგი ლეონიძე“, 21.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „კალეიდოსკოპი“.

## თეატრები

**23 მაისი**

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ოქროს ქორწილი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სიყვარული სახუმარო არ არის; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯერ დაიხოცენენ, მერე იქორწინეს; მოზარდ მაყურებელთა ქართული — დივანია № 16 (№ 15, 41 ამონ. დილის 11 ს. 30 წ., № 24, 57 ამონ. 5 ს.); თოჯინების ქართული — თხუბინა (11 ს. 57-ე სკოლა), უცხაური მღვიმე (3 საათზე მე-4 და 68-ე სკოლები).

**24 მაისი**

ოქტომბერი — განთავისუფლება (I, II სერია); ამირანი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), კოლხიდა (საზამთრო), ბათუმი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — ტბასთან (I, II სერია); ფილარმონიის ბაღი, ვარძია, თბილისი — **გრძელი დღის ღილა**; საქართველო (წითელი დარბაზი), გაზაფხული, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), სპორტი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **ფარსმანი**; გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **13 ჭადარის ქუჩა, სად არის 042**; ამირანი (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), თბილისი — **წერილები შინ**; საქართველო (მწვანე დარბაზი) — **მოუხელთებელთა ახალი თავგადასავალი**; ისანი (საზაფხულო), ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **არ დაიდარდო**; 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **კვანძის გახსნა**; თანამგზავრი — **ოპერაცია „ზმიდა ინუარიუსი“**; ალოხიდა (საზაფხულო) — **კერი**; ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **ოქრო**; ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **ნიკოლოზ სლიჩენკო**; კოლმეურნე — **ილაპარაკონ**; კომკავშირელი — **რაიკის შვილები** (I, II სერია); გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **ზაფხულის პატარა რომანი**; ეკრანი — **ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები** (I, II სერია); ნაკადული — **დაგვიანებული ყვავილები**.

## კინო

**23 მაისი**

ოქტომბერი — განთავისუფლება (I, II სერია); ამირანი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), კოლხიდა (საზამთრო), ბათუმი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **ტბასთან** (I, II სერია); ფილარმონიის ბაღი, ვარძია, თბილისი — **გრძელი დღის ღილა**; საქართველო (წითელი დარბაზი), გაზაფხული, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), სპორტი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **ფარსმანი**; გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **13 ჭადარის ქუჩა, სად არის 042**; ამირანი (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), თბილისი — **წერილები შინ**; საქართველო (მწვანე დარბაზი) — **მოუხელთებელთა ახალი თავგადასავალი**; ისანი (საზაფხულო), ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **არ დაიდარდო**; 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **კვანძის გახსნა**; თანამგზავრი — **ოპერაცია „ზმიდა ინუარიუსი“**; ალოხიდა (საზაფხულო) — **კერი**; ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **ოქრო**; ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **ნიკოლოზ სლიჩენკო**; კოლმეურნე — **ილაპარაკონ**; კომკავშირელი — **რაიკის შვილები** (I, II სერია); გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **ზაფხულის პატარა რომანი**; ეკრანი — **ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები** (I, II სერია); ნაკადული — **დაგვიანებული ყვავილები**.

## „ლოკომოტივის“ სტადიონი

(ვაკე)

**24 მაისს**

**ფეხბურთი**

**ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა „ჰალმეირასი“ ბრაზილია — „დინამო“ თბილისი**

ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 22 მაისს, ამონმენტებზე 22-23 მაისს 12-19 საათამდე, საერთო გაყიდვა 24 მაისს დილის 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

დასაწყისი 19 საათზე


**კომუნისტი** | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, ბ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99 66-10, განყოფილებებისა: პარტ